ედმუნდ ფრიკის როლი ფოთის არქიტექტურული სახის შექმნაში



ფოთი-ქალაქის ტრანსფორმაცია, ნიკო ნიკოლაძისა და გერმანელ არქიტექტორ ედმუნდ ფრიკის კოლაბორაციასთან არის დაკავშირებული. მათი მოღვაწეობის პერიოდში ფოთი ევროპული ტიპის ბურჟუაზიულ ქალაქად იქცა. ფრიკმა ნიკოლაძესთან ერთად ქალაქის გენ-გეგმა პარიზის ბულვარის მიხედვით დააპროექტა.

მისი პროექტების უმრავლესობა ფოთში მოდერნის სტილის ნამუშევრებს განეკუთვნება, ისინი წარმოადგენენ ცვალებადი სიმაღლის მქონე შენობებს, რომლებიც განსხვავებული დეკორატიული ელემენტების მიუხედავად, საერთო სახეს ატარებენ.

ისინი დღემდე ამშვენებენ ქალაქის იერსახეს. წარმოგიდგენთ რამოდენიმე მათგანს: ფოთის ისტორიის მუზეუმი, რომელიც მდებარეობს 26 მაისის ქუჩაზე. შენობა აგებულია ნიკო ნიკოლაძის პერიოდში და წარმოადგენდა ვინმე ვაჭრის ომერ ავგენინოს საცხოვრებელ სალხს.



გ.ჭანტურიას , ყოფილი ლევაშოვის N5, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შენობა, თავდაპირველად ს. მიქიაშვილის სასტუმრო “გრანდოტელი”. მთავარი ფასადის ფოტო და პროექტი.



ეს კონკრეტული შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაშია და დღესდღეობით ინგრევა. ის დეკორატიული და მხატვრული ელემენტებით ხასიათდება და 1907 წელს არის აშენებული.
თითქმის ნანგრევებად ქცეული შენობის პირველ სართულზე ამჟამად მანქანების პროფილაქტიკა და საწყობია.

შენობას მესაკუთრე "სასწავლო საწარმოო წამოწყება ფოთის ყრუ-მუნჯთა საზოგადოება“ ყიდის. აბრა წარწერით - „იყიდება“ აივანზე დიდი ხანია გაკრულია.

ასევე ინგრევა მეორე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე, მოდერნის სტილში აშენებული შენობაც, სადაც წლების განმავლობაში სახელმწიფო უშიშროება იყო განთავსებული.

ნაგებობა წითელი აგურით და კირქვითაა აშენებული და სხვადასხვა არქიტექტურული დეტალებით, კონფიგურაციებით, დეკორატიული და მხატვრული ელემენტებით გამოირჩევა.

ამჟამად შენობა ავარიულია და მხოლოდ გარე ფასადია შენარჩუნებული. შენობის შიგნით კი დანგრეულია კედლები, იატაკი, სახურავი, კიბე. ფოთის ადგილობრივ ხელისუფლებაში განმარტავენ, რომ შენობა კერძო საკუთრებაა და მისი მოვლა-პატრონობა მათ არ ევალებათ, მაგრამ საქართველოს “კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, ხელისუფლებას, იურიდულ და კერძო პირს ერთნაირად ავალდებულებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობის მოვლა-პატრონობას და მისი იერსახის შენარჩუნებას...

სამწუხაროა ფაქტია, რომ მისი ნამუშევრების უმრავლესობა მიტოვებუბლი, მოუვლელი და დანგრევის პირას არის მისული, რადგან მიმაჩნია, რომ საინტერესოა ფრიკის შემოქმედების გულდასმით შესწავლა და კვლევა, რომელიც ასე ძალიან იყო შეყვარებული საქართველოზე.

ფრიკს კარგად აქვს გერმანული ტრადიციები მორგებული ადგილობრივისთვის, მოდერნის სტილის ელემენტების გამოყენებით. ვფიქრობ, რომ სტილისტური თვალსაზრისით ბევრი პარალელის გავლება შეიძლება მის ნამუშევრებსა და XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორების მიერ აშენებულ ნაგებობებსა და კოლონისტების სახლებს შორის.

ჩემი აზრით, სწორედ ტრადიციების შერწყმა და ურბანული მთლიანობა იყო მათი ხელწერის მთვარი დამახასიათებელი ნიშანი, რასაც ფრიკი თავისი ნამუშევრებით თვალნათლად გვაჩვენებს ფოთის არქიტექტურაში.

მადლობა
ყურადღებისთვის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

ხელმძღვანელი: მაია დავითაია, პროფესორი, აკადემიური დოქტორი

სტუდენტი: ნათია ნამგალაძე

მაგისტრატურა II კურსი